ნიკოლოზ ეგორაშვილი

ქართულენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
სოპოტის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი

“Erasmus+ გაცვლითი პროგრამა ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული გამოცდილება იყო. ის არამხოლოდ აკადემიურ ცოდნას უკავშირდებოდა, არამედ ჩემ პიროვნულ განვითარებაზეც დიდი გავლენა იქონია.

სოპოტში სწავლის დროს გავეცანი ახალ იდეებსა და განსხვავებულ სწავლის მიდგომებს, რაც მაძლევდა შესაძლებლობას, ჩემი სპეციალობის სფერო სხვა კუთხით დამენახა. ამავდროულად, მნიშვნელოვანი იყო უცხო კულტურის აღმოჩენა, სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან დამეგობრება და ახალი გარემოს გაცნობა.

ამ სემესტრმა მასწავლა დამოუკიდებლობა, მოქნილობა და ახალი გამოწვევების მიღება. ვფიქრობ, Erasmus+ არა მხოლოდ სწავლაა საზღვარგარეთ, არამედ შესაძლებლობა – გახდე უფრო გახსნილი, მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე ადამიანი, რაც მომავალშიც ბევრს გამოადგება. მადლობელი ვარ კავკასიის უნივერსიტეტის ამ შესაძლებლობისთვის.”